სახალხო გაზეთი

№ 568 შაბათი, 7 აპრილი, 1912 წ. № 568

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 5 აპრილს 1912 წელს გარდაიცვალა მღვდლის მეუღლე

მარიამ პეტრეს ასული **ძიმისტარიშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **მღვდელი გაიოზ ბესარიონის ძე ძიმისტარიშვილი,** გულმოკლულნი შვილები: **ანნა, ვასილი, საშა, მიხეილი და თამარა,** მაზლისწული **ილარიონ გიორგის ძე ძიმისტარიშვილი.** პანაშვიდი დ ნიშნულია შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე. გასვენება კვირას, 8 აპრილს, დილის 9½ საათზე, ბინიდან: სტრელკოვის ქუჩა, № 9, მე-10 ნაწ. (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.351.1)

მეუღლე ანასტასია ალექსანდრეს ასული, შვილებით ალექსანდრეთი, თამარათი, სიძე თ-დი მიხეილ ედიშო ვაჩნაძე—მეუღლე ოლღათი მწუხარებით გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ 5-ს ამა აპრილს გულის სიგანივრით უდროოდ გარდაცვალებას

რომან ალექსანდრეს მის იორამოვისას.

გამოსვენება კვირას, 8 აპრილს (ბაგრატიონის ქ. № 12) დილის 9 საათზე ანჩხატის ტაძარში. დაკრძალვა კუკ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 7 საათზე დღეს 7 აპრილს. (1.353.1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 8 აპრილს,

დამსახურებული მსახიობი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ტასო აბაშიძის, ვ. აბაშიძისა** და სხვათა მონაწილეობით გაჰმართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: 1) **ავადმყოფი ხალხი,** დრამა 2 მოქ. ზუდერმანისა, თარგმან. ვ. გუნიასი.

2) **კრეჩინსკის ქორწინება,** კომ. 3 მოქ. თარგ. ან. ღულაძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ა. ამირაჯიბი, მ. ვიქტორელი, მ. ქილარჯიშვილი, ლ. ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, გ. არადელი-იმხნელი, ვ. გუნია, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ზ. საფაროვი, ი. ყივიძე, კ. ციციშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

(2.[illegible]16.[illegible]) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲥᲡᲔᲜᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘ, № 7, ᲕᲔᲢᲪᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢ. ᲐᲮᲚᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ქალთ. ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. ჭკუის.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—310)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ბერლინის უნივერს. **Გ. Გ. ᲛᲔᲑᲠᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ**

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲥᲚᲔᲥᲘᲡᲐ ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—194)

შეიძლება დაკვეთა: **ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ**

ᲔᲥᲘᲛ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად: 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსნიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1151—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

შაბათს, 7 აპრილს.

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

I

საკონცერტო განყოფილება „ახალი კლუბის“ სიმფონიური სიმებიანი ორკესტრისა **ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.** ორკესტრი შეასრულებს: უვერტიურა ოპერა „გუარანი“ გომესისა; ვალსი, ოპ. „იოლკა“, რებიკოვისა; სერენადა ფილკმანისა სიმებიანი ორკესტრისათვის; სოლოს ველონჩელზე—აასრულებს ბ. ცედლერი; ისპანიური ფანტაზია—ბ. დემერსმანისა. II. **სინემატოგრაფი ქ-ნ ივანიცკისა.**

დასაწყ. საღ. 9 ს. (2.1149.2)

ტფილისი

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲜ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ᲘᲠᲘᲡ“,

25 ცალი 15 კ. ® 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,

ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ.

თამბაქ. ქარხანა

„ᲫᲛ. ᲡᲔᲘᲚᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘ“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.13)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ** ახალ პატრონთა ხელში გადასული

ᲙᲐᲤᲔ-ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ᲚᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲦᲐᲛᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

11—1 საათ.	1—5 ს.	5—2 ს
საუზმე—30 კ.	**სადილი.**	**ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—113—24)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲠᲓᲔᲛᲚᲘ

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.50)

ᲡᲐᲒᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 275)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ „606“

(წლ.—1018—245)

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲛᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.131)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

Ი. Ე. ᲗᲘᲙᲐᲜᲐᲫᲔ

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 139)

ᲨᲞᲐᲚᲘᲔᲠᲘ

ᲫᲛ. ᲢᲐᲠᲜᲝᲞᲝᲚᲗᲐ

ქარხნისა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც

საქარხნო ფასებში იყიდება,

თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.7)

ელექტრონისა და რენტგენის

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲘᲮ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—26)

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **ᲓᲝᲚᲘᲫᲔ** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან; **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.9)

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—65)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ი. ᲛᲘᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—134).

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—70

ᲔᲥᲘᲛᲘ Შ. Ა. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ᲔᲥᲘᲛᲘ Პ. ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.86)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ი. ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—9)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

◆ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ამომრჩევლების სიის** შედგენას ქალაქის გამგეობა პირველ მაისიდან შეუდგება. მუშაობა ორსამს თვეს განსტანს. სიების შესადგენად ქალაქის გამგეობა მოსამსახურეთა დროებით შტატს შეადგენს, რომელშიაც საკმარისია 15 კაცი. მთხოვნელი დღემდე ორას კაცზე მეტია.

◆ **თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულომ** 4 აპრილს განიხილა საკითხები ნამესტნიკის საბჭოში თავად-აზნაურთა წარმომადგენელის დანიშვნის შესახებ.

◆ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა.** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი პ. ი. თუმანიშვილი 5 აპრილს პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც უნდა იშუამდგომლოს, რათა სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის კონცესია მას, სხვებთან ერთად მიეცეს.

◆ **ბათომის ქალაქის მოურავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი** ტფილისში ჩამოვიდა, საიდანაც 10 აპრილს პეტერბურგს მიემგზავრება სამსახურის საქმეთა გამო.

◆ **მეპურეებმა** ქალაქის გამგეობას გამოუცხადეს, თუ პურის ნიხრს არ მოუმატებთ, 7 აპრილიდან პურს აღარ გამოვაცხობთო.

◆ 5-ს ამ თვისას ტფილისის ფერისცვალების მონასტერში დილის 10 საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქართველ მგოსნის **ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანის** დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო. პანაშვიდს დაესწრნენ მონასტრის ძმანი თავის წინამძღვრით—ეპისკოპოზ ანტონით. გალობდნენ იმავე მონასტერში დაარსებულ მედავითნეთა სკოლის მოწაფენი. პანაშვიდის დაწყებამდე ეპისკოპოსმა ანტონიმ წარმოსთქვა შესაფერისი სიტყვა და გააცნო დამსწრეთ მგოსანი და მისი ნაჭირნახულევი. ბოლოს თავის სიტყვას ყოვლად სამღვდელომ დასძინა:—ვისაც თავისი სამშობლო და ერი არ უყვარს იგი ღირსია არამც თუ ადამიანთა გმობისა, არამედ ღვთის წყრომისაცაო. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **ქ. ტუაპსე.** 29 მარტს, ადგილობრივ საავადმყოფოში **თავი ჩამოიხრჩო** 50 წლის **ტარასი შენგელიამ.** განსვენებულს რამდენიმე ხანს იჯარით ჰქონდა აღებული ადგილობრივი კლუბი. ამ ბოლო დროს ეს საქმეც ხელიდან გამოეცალა, დასნეულდა კიდეც და თავის ჩამოხრჩობით გაუსწორა ანგარიში წუთი-სოფელს. ადგილობრივმა ქართველობამ მისი გვამი მიწას მიაბარა.

◆ 31 მარტს პეტერბურგში ტაშკენტიდან ჩასულან **ვინმე კირბაია და შუბლაძე** (ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი), „ვერსალის“ სასტუმროში ჩამომხტარან და განუცხადებიათ: ტაშკენტის მემამულეთა წარმომადგენლები ვართ და კონსერვები ჩამოვიტანეთო, დამცველ პოლიციის განკარგულებით, მათი ბინა სასწრაფოდ გაუჩხრეკიათ და კირბაია დაუპატიმრებიათ.

◆ **ცნობილი ექიმი როზენბაუმი გარდაიცვალა** სახადით, რომელიც ავადმყოფისაგან გადაედო. სამის დღის წინად სახადითვე გარდაიცვალა ექიმი პროხანოვი.

◆ **თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და მ. ნ. ათაბეგოვი** გუბერნატორმა ქალაქის **გამგეობის წევრებად** დაამტკიცა, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა. ბ-ნნ ათაბეგოვს დღეს, დილის 11 საათზე დააფიცებენ გამგეობის სადგომში.

◆ **საქართველოს ეგზარხოსის მმართველად,** როგორც ხმები დადის, ერევნის მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფს დანილევსკის ნიშნავენ.

◆ **სანატორია.** ქალაქის გამგეობამ თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს დაავალა, შეადგინოს პროექტი სანატორიისა, რომელიც მოწყობილ უნდა იქმნას ბორჯომში ტფ. ქალაქის თვით მმართველობის მოსამსახურეთათვის.

◆ ქალაქის გამგეობამ **სამ-სამის თვით ორი არქიტექტორი მოიწვია:** დ. გ. ჩისლიევი და ი. ი. ტერ-ოჰანიანცი. ჯამაგირი ექნებათ თითოს — 125 მან. ეს პირნი მოწვეულ იქმნენ ნაცვლად სამის **არქიტექტორისა,** რომელნიც ამ ჟამად მძიმე ავადმყოფნი არიან.

◆ **იმერეთის ეპარქ. სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი ავერკიევი,** რომელიც სამსახურის საქმეთა გამო ტფილისში იყო ჩამოსული, გუშინ ქუთაისს დაბრუნდა.

◆ 5 აპრილს უეცრად გარდაიცვალა რ. ა. იორამოვი.

✦ 5 აპრილს 26 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 4 აპრილს საწამლავით თავი მოიკლა კავკავის მცხოვრებმა მიხეილ პავლეს ძე ყარინოვმა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიამ** თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა და მოიწონა ავჭალის წყალსადენის წყლით სარგებლობის წესები, რომელიც წინანდელ საბჭოს სატეხნიკო კომისიას ამ ექვსის წლის წინად გადაეცა განსხილველად.

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის** უკანასკნელმა კრებამ ხმოსნის მ. ზ. ქანანოვის განცხადება განიხილა, რომელიც ეხება ტრამვაის დირექციის მიერ გადასაჯდომ ბილეთების გაუქმებას. ტრამვაის დირექტორმა ა. ე. ბელოიმ კომისიას სთხოვა ერთის თვის ვადა ამ საგნის შესახებ ბრიუსელში მოსალაპარაკებლად. კომისიამ თხოვნა შეიწყნარა.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობის მორიგი კრება 5 აპრილს მოხდა. მოსმენილ იქმნა სხვათა შორის, დიდ-გომარეთის სკოლის მასწავლებლის წერილობითი მოხსენება, საიდანაც შემდეგი სჩანს: სკოლა სამის განყოფილებისაგან შესდგება და 58 მოსწავლე სწავლობს. მასწავლებელი ერთია, თუმცა სხვაგან სადაც სამი განყოფილებაა, როგორც, მაგალითად სამინისტრო სკოლებში, ორი არის მასწავლებელი. მოხსენებაში მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დიდ-გომარეთის სკოლისთვის საჭიროა მეორე მასწავლებლის მოწვევა, ან ეს სკოლა ორ-კლასიანად უნდა იქმნეს გადაკეთებული. გამგეობა მომხსენებლის შემდგენელს დაეთანხმა და დაადგინა, დიდ-გომარეთის სკოლაში სწავლების საქმე წესიერ კალაპოტში ჩააყენოს. ამავ კრებაზე მოსმენილ იქმნა საგურამოს ილიასეულ მამულის 1911 წლის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ მამულს შემოსავალი ჰქონია 2,420 მან. 50 კაპ. ხარჯი ჰქონია-3,426 მან. 56 კაპ. ხარჯის დასაფარავად ასი თუმანი ილიას ფონდიდან უსესხნიათ. ამავ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1912 წლის 1 იანვრისთვის მამულს ბანკისა და სხვების ვალი 11, 806 მან. ჰქონია. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 2,700 მანეთი.

სასწავლებლებში.

✦ **ტფ. სამხედრო სასწავლებელში** 2 აპრილიდან ეგზამენები დაიწყო და 1 მაისს დასრულდება. სასწავლებელი სურამში მაისშივე გადავა.

სასამართლო

✦ **შუა აზიის რკინის გზაზე 469.500 მან. გატაცების საქმე.** ეს საქმე, რომლის გამო სამართალში მიცემულნი იყვნენ ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპიტანი ერმოლოვი და სხვანი. შარშან გაირჩა. საქმის გარჩევის დროს სასამართლოს დარბაზში შეიპყრეს ივანე ლილუაშვილი, რომელსაც ამ საქმეში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა და რომელსაც ამის გამო სასამართლო უქმად დაეძებდა. ლილუაშვილის საქმე ცალკე იქმნა გამოყოფილი. წინასწარი გამოძიება გამომძიებელმა უკვე დაასრულა და მთელი მასალა ოლქის სასამართლოს ბრალდებულს გაუგზავნა საბრალმდებლო ოქმის შესადგენად.

სომეხთა ცხოვრება.

✦ გაზეთ **„მშაკის“** იუბილეის გამო „ალბიურ-ტარაზის“ რედაქციას განუზრახავს გამოსცეს ერთი ალმანახი, მრავალი სურათებით. ალმანახი განაწილებული იქნება ათ ნაწილად და გამოვა იუბილეის დროს, მაისის 26-ს.

✦ „მშაკის“ მე-71-ე №-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი მგოსან **ვახტანგ ორბელიანის შესახებ.**

✦ **სრულიად სომეხთა კათალიკოსის** უმაღლესად დამტკიცების გამო ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსმა ეპისკოპოსმა ეფრემმა განკარგულება მოახდინა, რათა სომეხთა სკოლების მოწაფენი ერთი დღით გაანთავისუფლონ მეცადინეობიდან. გუშინ პირველ გაკვეთილის შემდეგ მოწაფეები გაანთავისუფლეს, რომლის შემდეგ მასწავლებლებმა მოწაფეებს გააცნეს ახლად დამტკიცებულ კათოლიკოსის ბიოგრაფია. კვირას, ვანქის ტაძარში გადახდილ იქნება პარაკლისი კათალიკოსის დამტკიცების გამო.

✦ კავკასიის **სომეხ მასწავლებელთა** დასახლევე ფონდის სასარგებლოდ ბარბარე ალელოვმა შესწირა 300 მანეთი.

✦ უკვე სამი დღეა, რაც სომხური გაზეთი **„სურჰანდაკი“** აღარ გამოდის.

✦ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ „დაშნაკციუთიუნის“ პარტიის საქმის გამო 4 წლით კატორღა მისჯილ ექიმს **ჰამაზ ოჰანჯანიანს ციხეში თავი მოუკლავსო.**

✦ მირონცხების შემდეგ კათოლიკოსი პეტერბურგს წავა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსადგომად, მაისის შუა რიცხვებში.

✦ კავკასიის სომეხთა. საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი დაათვალიერა აპრილის 5-ს სახელმწიფო სათათბიროს წევრმა **პ. მილიუკოვმა.**

✦ კავკასიის ადმინისტრაციამ ნება დართო კავკასიის სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოებას სომხურ ბეჭვდის საქმის 400 წლის შესრულების იუბილეის გამო **სომხურ პრესის გამოფენა** გაიმართოს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ახალ ამბებში ცნობაა დაბეჭდილი, რომ **ჭიათურაში** აპირებენ გახსნან **„ქარხან-აფერუმ** მარგანეცის მოსამზადებლად“ **უნდა იყოს „ქარხანა ფერუმ-მარგანეცის მოსამზადებლად“.**

პ. ნ. მილიუკოვთან.

(ინტერვიუ).

თქვენმა თანამშრომელმა ინახულა პ. ნ. მილიუკოვი. შევგზავნე თუ არა სადარბაზო ბარათი, მაშინვე მიმიღო.

— მობრძანდით.

შევედი. ჩემ წინ იდგა უკვე ხანში შესული, მაღალ-მაღალი კაცი, სახის ენერგიულის გამომეტყველებით.

— დაბრძანდით.

მე გავეცანი, ვუთხარი, რომ „სახალხო გაზეთის თანამშრომელი ვარ და მინდა ზოგიერთს კითხვებზე მისი აზრი გავიგო.

— დიდის სიამოვნებით, მე ყურს გიგდებთ,—მიპასუხა მილიუკოვმა.

— რა ძირითად მოტივებით ხელმძღვანელობდა კადეტთა პარტია, როდესაც პროგრესისტთა პარტიას ბლოკით ეკვრებოდა? — შევეკითხე მილიუკოვს.

— უპირველესად ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, — მიპასუხა მან, რომ პროგრესისტთა პარტია—როგორც პარტია არ არსებობს. უკანასკნელ დროს საზოგადოებაში ისეთი აზრი გავრცელდა, თითქოს პროგრესისტები პარტია იყოს. ეს მართალი არ არის, რადგანაც პროგრესისტებს საერთო იდეიური და პრაქტიკული პროგრამა არა აქვთ. არც ის არის მართალი, თითქოს კადეტთა პარტია ბლოკით ეკვროდეს პროგრესისტებს—სწორედ ეხლა, არჩევნების წინ კადეტთა პარტია სრულიად დამოუკიდებლად გამოდის საარჩევნო ასპარეზზე იქ, სადაც მას უტყუარი ხმები აქვს, მაგალითად, დიდს ქალაქებსა და ისეთს რაიონებში, სადაც დემოკრატიული ელემენტი სჭარბობს. იქ კი, სადაც ჩვენს პარტიას დამოუკიდებლად ვერ შეუძლიან გამოსვლა, ვუთანხმდებით პროგრესიულ ელემენტებს ერთად-ერთს საერთო მიზნის მისაღწევად. ეს მიზანია დამარცხება მთავრობის მომხრე უმრავლესობისა და გაძლიერება ოპოზიციონურ უმცირესობისა.

— შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ მეოთხე სათათბიროში ოპოზიციონური უმრავლესობა გაჩნდება?

— არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს. რაც უნდა იმედიანად ვუყუროთ მომავალს, მაინც ძნელია იმის თქმა, რომ მეოთხე სათათბიროს ნახევარი მაინც ოპოზიციონური იქნება. როგორ შეიძლება ამის იმედი გვქონდეს, როდესაც მთავრობას საშუალება აქვს თვით საარჩევნო უფლებასაც კი მოჰგლიჯოს ოპოზიციონური ელემენტები. მიუხედავად ამისა, მაინც იმედს არა ვკარგავთ, ოპოზიციონური უმცირესობა მეოთხე სათათბიროში გაიზარდება.

— რით უნდა აიხსნას ამიერ კავკასიის რეფორმების დავიწყება: მხოლოდ მთავრობის პოლიტიკით, თუ იმით, რომ სათათბიროს ოპოზიციონური ელემენტებიც კი გულ-გრილად ეკიდებიან ამიერ-კავკასიის რეფორმებსა და საზოგადოდ მის ბედ-იღბალს? —კვლავ შევეკითხე მილიუკოვს.

— პირველის ბრალიცაა და მეორისაც, — მიპასუხა მილიუკოვმა, —ერთის მხრით, ყველამ ძალიან კარგად იცის, რანაირის უნდობლობით ეკიდება მთავრობა როგორც საზოგადოდ, ისე ამიერ-კავკასიის ძირითად რეფორმებს. მეორის მხრით, ბატონებო, ვერც თქვენი დეპუტატები იცავენ ადგილობრივ ინტერესებს ისე გატაცებით, როგორც საჭიროა. თქვენი დეპუტატები ძალიან ორიგინალურად იქცევიან. მათი მსჯელობა ყოველთვის სათუოა. „თუმცა ჩვენ ადგილობრივ ინტერესებს არ ვიცავთ, მაგრამ მაინც ადგილობრივ ინტერესებზე ვლაპარაკობთ; თუმცა საეკლესიო საკითხები ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ ეკლესიაზე ვილაპარაკოთ და სხვა. დამეთანხმეთ, რომ ასეთი დაცვა ადგილობრივ ინტერესებისა ინდიფერენტიზმზე, გულ-გრილობაზე ბევრად უკეთესი არ არის. რამდენადაც მე ვიცი, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ზოგიერთ რეფორმების მომხრეა; საჭიროა მხოლოდ თქვენმა საზოგადოებამ მეოთხე სათათბიროში გამოგზავნოს უფრო ენერგიული და ნამდვილი დამცველები ადგილობრივ ინტერესებისა.

— აზრადა აქვს თუ არა კადეტთა პარტიას, რაიმე კონკრეტული ზომები მიიღოს რეფორმათა განსახორციელებლად ამიერ კავკასიაში? მხედველობაში მაქვს ერობა, სასამართლოს რეფორმა, უნივერსიტეტი.

— ყველა ეს საკითხები უკვე აღძრულია სათათბიროში, — მიპასუხა მილიუკოვმა. — მაგრამ მთავრობის მომხრე უმრავლესობა, ჩვეულებისამებრ, აგვიანებს და აფერხებს ამ რეფორმებს. რაიცა შეეხება გლეხთა დროებით ვალდებულ მდგომარეობის მოსპობის კანონ-პროექტს, იგი უკვე ჩვენს პორთფელშია და კიდეც ვეცდებით როგორმე ამ სესიაშივე დავასრულოთ მისი განხილვა. კვლავ ვიმეორებთ, თქვენმა ქვეყანამ უკეთესად უნდა დაიცვას თავისი ინტერესები. თქვენი დეპუტატები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივ ინტერესებს, არ შეიძლება ამანაც არ იმოქმედოს რეფორმების შეფერხებაზე. რაიცა შეეხება ჩვენს პარტიას, ჩვენ ყოველთვის დიდი მომხრენი ვიყავით ადგილობრივ ინტერესებისა და შემდეგშიაც მხურვალედ დაუჭერთ მხარს ამ ინტერესებს.

ლაპარაკი ჩამოვარდა სხვა და სხვა საკითხებზე. სხვათა შორის მილიუკოვმა აღნიშნა, ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში ტფილისი საოცრად გაზრდილა, ეტყობა კულტურული ცხოვრება მაგრად იკიდებს ფესვებსა. დავათვალიერე სხვა და სხვა დაწესებულებები, მომეწონა მშვენიერი დიდი შენობა ქართულ გიმნაზიისა, თეატრები.

ჩვენი ლაპარაკი ამით გათავდა.

მადლობა გადაუხადე და გამოვემშვიდობე.

დავით კახელი.

პ. ნ. მილიუკოვის ლექცია

ხუთშაბათს, 5 აპრილს, საარტისტო საზოგადოების თეატრის დარბაზში სათათბიროს წევრმა პროფესორმა პავლე ნიკოლოზის ძე მილიუკოვმა წაიკითხა პირველი ლექცია: „ეროვნება და რასა“.

შესავალში ბ-ნმა ლექტორმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ერთა საკითხისა და სთქვა: ნაცია და ეროვნება ყველას ენაზე აკერია, მაგრამ ყველამ კი არ იცის მისი ნამდვილი მნიშვნელობაო. ამ საკითხთა გადაწყვეტა კი უეჭველად საჭიროა ეხლანდელ რუსეთისათვის, რადგან ნაციონალიზმის სახელით ბევრს რასმე არა შესაფერს სჩადიან და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ვითომც ამ პრინციპის მიხედვით მოქმედებენო. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსის ინტელიგენციას ოფიციალურ ნაციონალიზმის წინააღმდეგ თავისი არაფერი წამოუყენებია და გულგრილად ეკიდებოდა საზოგადოდ ამ საკითხსა. ასეც უნდა ყოფილიყო: ჯანსაღ ადამიანს ჯანსაღობის საკითხი თავის დღეში ვერ დააფიქრებს.

რუსეთში ერთმანეთში აურევიათ ორი სხვა და სხვა მცნება: რასა და ეროვნება. ამბობენ, სლავიან ა რასა, გერმანელთა რასა და სხვა. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. რასა და ეროვნება სრულიად ერთი და იგივე არ არის, რასას ახასიათებს უმთავრესად თავის მოყვანილობა: არის გძელთავიანთა და არის მრგვალთავიანთა რასა. განა გრძელთავიანები მარტოოდენ ერთ ერს შეადგენენ? არა, მრავალსა. არც მრგვალთავიანებს შეუდგენიათ ერთი რასა და ამიტომ შეუძლებელია ამ ორ მცნებათა არევ-დარევა. ესეც არ იყოს, ერთი რასის წარმომადგენელნი მარტოოდენ ერთს ადგილს არა სცხოვრობენ და ზოგჯერ კანიც სხვა და სხვა ფერისა აქვთ.

მეცნიერებაში იყო თეორია, რომელიც ამბობდა, რასა არ იცვლება, ისეთივეა, როგორიც ისტორიის პირველ ხანს იყოო. არის ამის საწინააღმდეგო აზრი, რომელიც უარჰყოფს რასათა შეუცვლელობას და ჰგონია, რომ იგი იცვლება დროთა ვითარებაში. მართლადაც, ქვეყნის არც ერთ კუთხეში არ არის და არც ყოფილა წმინდა, შეურყეველი რასა. ყველა ქვეყნის ნაციონალისტები რასობის განსაკუთრებულ თვისებებს ჩემულობენ და მარტოოდენ თავის ერს მიაკუთვნებენ. მაგალითად, გერმანელებს თავის „რასის“ ნიშანდობლივ თვისებად მიაჩნიათ: გძელთავიანობა, მაღალი ტანი, ქერა თმა და ცისფერი თვალები. მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ამისთანა თვისებათა მქონებელი ხალხი გერმანელთა გარეშეც ბევრ ა. გარდა ამისა, მაღალი ტანი შედეგია კარგი ცხოვრებისა და კარგი სმა-ჭამისა. სტატისტიკა ნათლად ჰმოწმობს ამასა: ინგლისის მუშის საშუალო სიმაღლე უდრის 170 სანტიმეტრსა და ინგლისის არისტოკრატისა კი 177 სანტ. რათა? იმიტომ, რომ ამ ორი წრის ცხოვრება ძალიან განსხვავდება. საზოგადოდ ქონებრივ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონია ყოველთვის ამ საქმეში.

გარდა ამისა ევროპიელებს კაცობრიობა ორ, არათანასწორ, ნაწილად გაუყვიათ. ერთნი ვითომ ღირსნი არ არიან საისტორიო ცხოვრებისა და კაცობრიობის წინსვლაში დღევანდლამდე არ მიუღიათ მონაწილეობა და ვერც მიიღებენო. მეორე ნაწილია ყველაფერი და კაცობრიობის წინამძღოლიო. ერთი სიტყვით, არსებობს კულტურიანი რასა და არსებობს უკულტურო რასაო. ეს აზრი დაძველებულა და ვერავინ შეიწყნარებს. კაცობრიობის ამნაირად დაყოფა შეუძლებელია.

ევროპიელები თეთრკანიანებსა სთვლიან კულტურიან რასადა და შავკანიანებს ისე ეპყრობიან, როგორც მხეცებს, და არა ადამიანებს. მე თვითონ ვიყავი მოწმე ამერიკელთა ამნაირად მოქცევისა. იქ წითელკანიანებს ნება არა აქვთ ამერიკელებთან ტრამვაიში ერთად სხდომისა, მათთვის ცალკე ადგილი მიუჩენიათ. წითელ-კანიანებს ნება არა აქვთ იმ სასტუმროში ცხოვრებისა, სადაც თეთრკანიანნი სცხოვრობენ. ეს ამბავი განათლებულ ამერიკის ცხოვრების დამახასიათებელია. ეხლა პრინციპით თითქმის ყველამ აღიარა ერთობა და თანასწორობა რასათა, მაგრამ ფაქტიურად აღიარებამდე ჯერ შორს არის.

თანამედროვე კაცობრიობა სცდილობს შეჰქმნას საერთაშორისო სამართალი და წინააღუდგეს კაცობრიობის ერთ ნაწილისაგან მეორის ჩაგვრისა, მაგრამ შესამჩნევი ვერა გაუკეთებია რა. საჭირო კი არის რასათა თანასწორობის ფაქტიურად აღიარება.

შემდეგ ლექტორი შეეხო ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმსა. უარჰყო ორივე და სთქვა, ნამდვილი მხოლოდ კოსმონაციონალიზმიაო. ეს სიტყვა გამოუგონია ერთ ინდოელს, რომელიც 1911 წელს ინგლისში რასათა წარმომადგენლების კრებას დასწრებია. იგი ამბობს: ხეს ნაყოფის მოცემა მაშინ შეუძლიან, როცა ფესვები გამაგრებული აქვს. ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლიან კაცობრიობას შესძინოს რამე და წვლილილი შეიტანოს საკაცობრიო სალაროში, როდესაც თავის ერის ღვიძლი შვილია, ნაწილი და თავისიანობის გრძნობა არ დაუკარგავსო.

პირველი ლექცია ამით დაათავა ბ-ნმა მილიუკოვმა. მეორე ლექცია თითქმის გაგრძელებაა პირველისა და შეეხება უფრო საპრაქტიკო მხარეს ამ თეორიისას.

ბ-ნი მილიუკოვი კარგი მოსაუბრეა, თუმცა საორატორო ნიჭი ვერა აქვს ძლიერი. მაგრამ მონოტონობა მაინც არ დასტყობია.

ხალხით მთლად გაჭედილი იყო დარბაზი და ლექტორს, კადეტთა პარტიის ბელადს, ტაშის ცემით შეხვდა.

ქ—რე.

დიმიტრი ყიფიანი

და ბატონ-ყმობის გაუქმება ტფილის. გუბერნიაში *)

ბატონ-ყმობა ტფილისის გუბერნიაში გაუქმებულ იქმნა 1874 წელს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ვიდრე ეს დაწესებულება მოისპობოდა, მოიწვიეს თავად-აზნაურობა. მთავრობამ დაავალა თავისი აზრი გამოეთქვა გლეხების განთავისუფლების შესახებ. თავად-აზნაურობამ თავისი მოვალეობა შეასრულა და თავისი აზრიც გამოსთქვა მრავალგვარ წერილებში, მოხსენებებში, პროექტებში და სხვა. **) მოილაპარაკა რა ტფილისის თავად-აზნაურობამ მომავალ დიდ საქმის შესახებ, შეუდგა თავის პროექტის დამუშავებას, ე. ი. მოიწადინა იმ პირობების შედგენა, რომლის ძალითაც ტფილისის გუბერნიის გლეხობას უნდა მინიჭებოდა თავისუფლება. პროექტი უნდა წარედგინათ შემდეგ განსახილველად საგანგებო საკრებულოსათვის, რომელიც დაარსებული იყო ტფილისში მეფის მოადგილის კანცელარიაში.

პროექტის შედგენა უნდა დაევალებინათ მცოდნე და გამოცდილ კაცისათვის. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ პროექტის შედგენა ერთ-ხმად მიანდო დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც წარუდგინა მთავრობას შრომა, განხილული და დამტკიცებული ტფილისის მემამულეთაგან 1863 წ. შემოდგომის გასულს. დიმიტრი ყიფიანს ბატონ-ყმობის გაუქმებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის; დიმიტრი ყიფიანი იყო ერთი საუკეთესო მამულიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა, უნარი და ენერგია ამ საქმეს შეალია. თუ რამე სამძიმო და რთული კითხვა იყო, დიმიტრი ყიფიანი თავისი ჭკუით და ცოდნით ნათელ-ჰყოფდა მას. აქ არ შევეხები იმას, თუ რა გააკეთა დიმიტრი ყიფიანმა გლეხების განთავისუფლებისათვის; ამისათვის ცალკე დრო არის საჭირო. აღვნიშნავ მხოლოდ ერთს სამწუხარო მოვლენას. ყველამ იცით, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ დიდებულ მამულიშვილებს. როდესაც ბატონ-ყმობის გაუქმების ისტორიის შესწავლას შევუდექი და გავეცანი აუარებელ მასალას, სხვათა შორის ვნახე, რომ დიმიტრი ყიფიანს დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა ტფილისის თავად-აზნაურობასთან. დიმ. ყიფიანი სთხოვდა მათ ცნობებს, და ეკითხებოდა ხშირად სხვა და სხვა მოვლენის ან ჩვეულების შესახებ, ამ საქმით დიმ. ყ—მა მიიღო მემამულეთაგან სასამდე წერილი და მოსაზრებანი და იმათი შეწყობით შეადგინა თავისი პროექტი. ამ წერილების შესახებ თვითონ დიმიტრი ყიფიანი ხშირად ამბობს; შევუდექი ამ უძვირფასეს ნაშთების ძებნას, არსად არ აღმოჩნდა. ისინი არ არის არც მეფის მოადგილის კანცელარიის არქივში, არც ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულოს არქივში. შეიძლება ისინი დარჩა დიმ. ყ—ნის ქაღალდებში. მივმართე დ. ყ—ნის მემკვიდრეებს, რათა ნება მოეცათ ჩემთვის ქაღალდების გადათვალიერებისა, მაგრამ ამაო იყო. დასახელებულ წერილებს ძლიერ დიდი მნიშვნელობის აქვს რეფორმის ისტორიის დასახასიათებლად; თავად-აზნაურობის აზროვნობის გამოსარკვევად, და დიმ. ყი—ნის ბიოგრაფიისათვის. შეიძლება, თუ ეს სტრიქონები ჩაუვარდებათ დიმ. ყიფიანის მემკვიდრეებს, გადმომცენ დარჩენილი ქაღალდები, რათა ვრცელი გამოკვლევა უძღვნა დიმ. ყიფიანს იმ მასალებთან ერთად, რომელიც არქივებიდან უკვე ამოვკრიბე. მასალები ისევ მესაკუთრეთ დაუბრუნდებათ.

მოკლედ რომ ვსთქვა დიმიტრი ყიფიანი პირველი შეგნებული მუშაკი იყო ბატონყმობის გაუქმების დროს.1) შეუდგეთ მისი პროექტის განხილვას.

დიმიტრი ყიფიანის გლეხების განთავისუფლების პროექტს წინ დართული აქვს მშვენიერი მოხსენება, რომელშიაც განუმარტავს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას რეფორმის მნიშვნელობას და თავის მოსაზრებას გლეხების განთავისუფლების შესახებ. უპირველეს ყოვლისა დიმ. ყიფიანი ასურათხატებს თავად-აზნაურობის გულნადებს და მათ შეხედულებას მომავალ აუცილებლობის რეფორმის შესახებ: „ერთ ძველ შენობაში, მოუთხრობს დიმ. ყ ნი ტფილისის მემამულეთ, უძველეს დროიდან ცხოვრობდა ძლიერ პატივცემული და ძველი შთამომავლობის ოჯახობა. ოჯახობა, მართალია, ცხოვრობდა ღარიბად, ხელმოკლედ, მაგრამ მშვიდობიანად და წყნარად. იგი მოელოდა, რომ მისთვის უკეთესი და მშვენიერი დღეები დადგებოდა, და თავს დააღწევდა სიღარიბეს, მაგრამ, უეცრად მას ესტუმრნენ ხუროები და უთხრეს, რომ დაუყოვნებლივ შენობას თავი უნდა დაანებონ, და თუ რჩევას არ მოისმენენ, მაშინ იოცდნენ, რომ შენობა დაინგრევა და მის მცხოვრებთ თან მოიმწყვდევს. გავიდა მოკლე ხანი და აქა იქ კედლებმა რყევა დაიწყეს, და ბოლოს ოჯახობა მართლაც დარწმუნდა, რომ შენობას უსათუოდ თავი უნდა დაანებონ, თორემ უბედურება უეჭველად დატრიალდება. სად უნდა შეეფარებინა ოჯახობას თავი? ოჯახობა შეუდგა მზადებას და ძველი ბინიდან გადმობარგებას, იმედი ჰქონდა, უფალი ღმერთი და მეფე არ დასტოვებს უყურადღებოდ, უნუგეშოდ“. თავად-აზნაურობა განცვიფრებამ აიტაცა, როდესაც გაიგო, რომ ბატონ-ყმობა უნდა გაუქმდეს; ისინი შეწუხებულნი იყვნენ, რომ დაჰკარგავენ ცხოვრების სახსარს, ყმას, მის უფასო შრომას. მართალია, თავად-აზნაურობას არა ერთხელ გაუგონია, რომ ბატონს ყმა გაშორდება და მას თავისუფლება მიენიჭება, მაგრამ მემამულეთ არ სჯეროდათ, არ უნდოდათ დაეჯერათ, რომ ადვილად და უბრალოდ დაინგრევა და დაირღვევა ის კავშირი და ქსელი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში მაგრდებოდა და ძლიერდებოდა, მართალია ძლიერ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ბატონ-ყმობა გაუქმდებოდა, მაგრამ მემამულეები ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელი შესაძლებელი ხდება. ცალკე ასეთი ხასიათის ამბები შუაგულ რუსეთის გუბერნიებიდან მოდიოდა, სადაც ინგრევოდა უკვე ბატონ-ყმობა; ცალკე ამაზე ბევრს მსჯელობდნენ მთავრობის მოხელენი. საქმე იქამდის მივიდა, რომ მემამულეები იძულებულნი შეიქმნენ იმის შესახებ, თუ რანაირად უფრო დაუშავებელნი და ნაკლებ დაჩაგრულნი გამოსულიყვნენ ამ მოვლინებულ უბედურებისაგან. მემამულენი, როგორც იქნა, მიჰხვდნენ, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების წინააღმდეგობა შეუძლებელია, ბატონ-ყმობა გაუქმდება, მემამულენი ყმებს დაჰკარგავდნენ. ჩაუფიქრდნენ თუ არა ამ საკითხს, მემამულენი თითქმის ერთხმად იმ აზრს დაადგნენ, რომ რაც შეიძლება მეტი უნდა შეინარჩუნონ რეფორმისაგან. როდესაც მთავრობა დაეკითხა მემამულეთ და სთხოვა მათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი გლეხების განთავისუფლების შესახებ, საგანგებოდ შეკრებილ სამაზრო კომიტეტებზედ, მემამულენი პირველ ხანში დაფეთდნენ, ხმის ამოღება ვერ გაბედეს, შეშინდნენ და ფიქრობდნენ, რომ მთავრობას ჰსურს ხაფანგში გაგვაბასო. შიში უადგილო გამოდგა, მემამულეებმა ხმა ამოიღეს და გამოსთქვეს თავისი აზრი რეფორმის შესახებ და მოიწადინეს ისე მოეწყოთ საქმე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ვნება აღმოეჩინა ბატონყმობის გაუქმებას ბატონებისათვის. დიმ. ყიფიანი ამაყად დასძენს, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ დაივიწყა თავისი პირადი ინტერესები, თავის გულისწყრომა, უკუაგდო შურისძიება და დარწმუნდა რა, რომ რეფორმა აუცილებელია, ერთხმად მიეკედლა ამ აზრს და ტფილისის თავად-აზნაურთა შორის არ იყო არც ერთი ისეთი პირი, რომელსაც წინააღმდეგი აზრები გამოეცხადებინოს. ჩვენ ამ აღტაცებას ვერ მოვაწერთ ხელს. ტფილისის თავად-აზნაურობის თანხმობა გლეხების განთავისუფლების შესახებ არ იყო გულწრფელი. რუსეთში გლეხების განთავისუფლება უკვე მოხდა, როდესაც ტფილისის მემამულენი ამ საქმეს შეუდგნენ (1862 წ.), მაშასადამე, ისინი კარგად ჰხედავდნენ, რომ წინააღმდეგობა უსაფუძვლოა. გულში კი მომეტებული ნაწილი, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, წინააღმდეგი იყო რეფორმისა.

რა გზას დაადგა ტფილისის თავად-აზნაურობა?

თავად-აზნაურობა რაც ძალა და ღონე ჰქონდა ეცადა, რაც შეიძლება მეტი უფლებები შეენარჩუნებინა მი-

---

*) Дѣло Канцеляріи по дѣламъ устройства крестьянъ при Главномъ управленіи Намѣстника Кавказскаго, св. № 5: д. № 25/10, 25/8), 27/82.

**) თუ რა აზრისა იყო ტფილისის თავად-აზნაურობა გლეხების განთავისუფლების შესახებ საქმის დასაწყისში, ამის შესახებ შეგიძლიანთ ნახოთ ჩემი „Крестьянская реформа въ Закавказьѣ“, журн. Минист. нар. Просв., 1910 г., № 12, და ცალკე გამოცემა, Спб. 1911 წ.

1) ამავე ხანაში გამოჩნდა მეორე დიდებული და შეგნებული მამულიშვილი, რომელსაც ჩვენში არც კი იცნობენ—ალ. ჭავჭასძე. ამ შესანიშნავ კაცის მოღვაწეობას შემდეგ წერილში შევეხები.

წერილი იურიევიდან

ამას წინად დორპატის ქართულ სათვისტომოს სადგომში „სალიტერატურო წრის“ თავმჯდომარემ აკაკი პაპავამ გამართა **სალიტერატურო სალამო.**

სალამო სამი ნაწილისაგან შესდგებოდა: პირველ ნაწილში აკ. პაპავამ წაიკითხა ლექცია: „სიყვარულის პრობლემა ლიტერატურაში“ („გუშინ და დღეს“). ავტორმა აღნიშნა, რომ სიყვარული თავისი მიუწვდომლობით და მისტიურის საიდუმლოებით მუდამ იზიდავდა ხელოვანთ და მუდმივი სულის ჩამდგმელი იყო ხელოვნებისა. ამის შემდეგ აღნიშნა სხვა და სხვა მწერალთა შემოქმედებაში სიყვარულის აღწერის უნარი და უმთავრესი ყურადღება მიაქცია უკვდავის მგოსნის **შოთას** პოემას **„ვეფხვის ტყაოსანს“**, რომელშიაც უხვად არის გაბნეული წმინდა სიყვარულის მარგალიტი ცრემლები; გამიჯნურებული ტარიელი მატარებელია ორგვარის გრძნობისა: უსაზღვრო მხნეობისა, მამაცობისა და შეუდარებელის სინაზის, მოკლედ რომ ვთქვათ, იგი „ნაზი ლომია“. ტარიელის სიყვარული ამაყი რაინდის უძლეველი გრძნობაა, იგი იბრძვის სიყვარულის ობიექტისათვის და ეს ბრძოლა სიცოცხლედაც რომ დაუჯდეს—ერთხელაც კი არ შეჩერდება მის წინაშე. აქედან ავტორი თან და თან გადავიდა უკანასკნელ დროის სიყვარულზე, რევოლუციის მეორე დღის ხანებში, როცა დამარცხებული ახალგაზდობა „საზოგადოებრივობისაგან“ განკურნვას შეუდგა; ამ ხანებში ინდივიდუალიზმი გამეფდა ლიტერატურაშიაც დ ახალგაზდობა დაეწაფა სოლოგუბს, პშიბიშევსკის, არციბაშევს, კამენსკის დ სხ. რომელთაც სიყვარულის იდეა იმდენად დაახურდავეს დ ჩამოაქვეითეს, რომ უბრალო ჟინის დაკმაყოფილების წყურვილამდე მიიყვანეს; მათ აშკარად აღიარეს შიშველი ტანის კულტი და ქალს დაუწყეს ცქერა, როგორც უბრალო სქესობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ ობიექტს, მაგრამ ამ გზით დიდ ხანს სვლა არ შეიძლებოდა, საჭირო იყო სიყვარულის დიად მცნების ამაღლება, გაღრმავება: საჭირო იყო მას ხელ ახლა მისცემოდა შესაფერი ფასი და ახალმა მწერლებმაც ამ გზას მიმართეს.

მათ კვლავ აამაღლეს სიყვარული; ჰამსუნის გმირები იტანჯებიან ამ ძლიერის სიყვარულით, მაგრამ ეს სიყვარული მუდამ განუხორციელებელი რჩება, რადგან თვით შეყვარებულები ხელოვნურად ჰქმნიან ძლიერს დაბრკოლებას, რომელსაც შემდეგ თვითვე უნდა ებრძოლონ. შოთას გმირებიც ებრძოდნენ დაბრკოლებებს, მაგრამ ეს ბრძოლაც აუცილებელი, ხოლო დღეს კი თვით ფსიხიური ბრძოლა არა ბუნებრივად იქცევა, რამდენადაც ეს დაბრკოლება ხელოვნურია. ავტორის აზრით საგულისხმო ის არის, რომ სიყვარულის მცნება კვლავად ამაღლდა და გუშინდელ მის დამცირებისათვის დღეს ახალგაზდობა თავს ისჯის სიყვარულის ძიებით და მის მუდმივ განუხორციელობლობით. ამგვარი განუხორციელებელი სიყვარული ბ-ნ პაპავას აზრით გამოიხატა რამდენიმედ ჩვენ ახალ პოეტთა ნაწარმოებშიაც და განსაკუთრებით კი შანშიაშვილის და გრიშაშვილის პოეზიაში. აი მოკლედ წაკითხულ ლექციის შინაარსი:

ლექტორმა ნალაპარაკევი სხვა და სხვა მაგალითებით და თვით ჩამოთვლილ მწერლების ნაწერებით დაამტკიცა და მშვენიერი ქართული ენით წაიკითხა ლექცია, მსმენელები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს ლექტორი.

მეორე განყოფილებაში მოხდენილად და ცოცხლად წაიკითხეს ლექსები ქ-ნ თამარა გოგოლაშვილმა, მარიამ ქეიშვილმა, ბ-მა ლ. ჩირგაძემ, გ. გულბანმა და სხვ. მესამე განყოფილებაში ბ-მა პროზაროვსკიმ დაუკრა ქართული ბაიათები როიალზე და ა—მ. ვილონჩელზე.

დასასრულ ბ-მა ყანჩელმა, გულისაშვილმა და კ. ღოღობერიძემ წაიკითხეს საოხუნჯო სცენები და ხალხი ბევრი აცინეს. ამის შემდეგ გაიმართა ცეკვა; იგი გაგრძელდა დილის 4 საათამდის, რომლის დროს ხანგამოშვებით გამოდიოდა იუმორისტული ჟურნალი; ამის შემდეგ ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა.

ჩემის აზრით ასეთ სალამოებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და კარგს ინებებს თავმჯდომარე „სალიტერ. წრისა“ ბ-ნი პაპავა, რომ ხშირად გამართავდეს ასეთ სალამოებს, რადგანაც ახლა სათვისტომო ისეთ კარგს ბინაზე იმყოფება, სადაც ადვილია დასახელებულ სალამოების მართვა. **ალ. მხეიძე.**

P. S. როგორც გავიგე 6 აპრილს, ქართული სათვისტომო აპირებს ვახტანგ ორბელიანის 100 წლის საიუბილეო დღესასწაულის გამართვას, რომლის ინიციატივა მიუღია თავზე აკ. პაპავას. **ა. მ.**

მოწერილი ამბები

დ. ლანჩხუთი. 27 მარტს აქ გაიმართა **სალიტერატურო გასამართლება.** გაასამართლეს ეგ. ნინოშვილის **„ქრისტინე“.** გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობდნენ: სიმონ ქვარიანი, ვასო მასხულია, ვალ. კალანდაძე ქ. გურგენაძე, ი. გორდელაძე გ. გიგინიეშვილი. ბრალს სდებდენ: ვალ. კალანდაძე და ქ. გურგენაძე. იცავდენ: სიმონ ქვარიანი, ვასო მასხულია და ი. გორდელაძე. თავმჯდომარეობდა გრ. გიგინეიშვილი. „ქრისტინეს“ როლში გამოვიდა ა. ც. ჭყონია. ქრისტინეს გამართლების შესახებ ხმა ორად გაიყო: ზოგი ამართლებდა, ზოგი ამტყუნებდა.

„ქრისტინეს“ გასამართლების შემდეგ იმღერა ახალგაზდა მოწაფემ მარიამ კალანდაძემ რამოდენიმე ლექსი გიტარაზე და ხალხიც დიდი კმაყოფილი დარჩა. როგორც გავიგეთ ეს მანდილოსანი ხმის გასაუმჯობესებლად რუსეთში წასვლას აპირობს, მაგრამ უსახსრობა ხელს უშლის. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ასეთ ხმის პატრონ მოწაფეს და გაგზავნონ სასწავლებელში.

გურული სცენები წაიკითხა ათინოგე წულაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოება ძლიერ აცინა და ბევრჯერ გამოიწვის სცენაზედ.

საჭიროა გამმართველთ მეტი ყურადღება მიაქციონ წეს-რიგს დარბაზში. **დიოგენი.**

სხვა და სხვა ამბავი

— **სტუდენტთა დათხოვნა.** განათლების მინისტრს კასოს განკარგულება გამოუცია, რომლის ძალითაც უნივერსიტეტიდან დაითხოვენ ყველა სტუდენტს, ვინც მონაწილეობას მიიღო გაფიცვაში.

— **პროფესორთა დათხოვნა.** კასოსავე განკარგულებით დაუთხოვნიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ბევრი პროფესორი. სხვათა შორის პეტრაჟიცკი, ტუგან-ბორანოვსკი და სხვანი. მათ ადგილს პრივატ-დოცენტებს ჰნიშნავენ.

— **გემი „ტიტანიკი“.** მკითხველებს ეცოდინებათ გემის „ტიტანიკის ამბავი“. იგი დაიძირა და 1500 კაცამდე დაიღუპა. „ტიტანიკი“ 12 მილიონ მანეთად ღირებულა და საუცხოოდ ყოფილა მოწყობილი. გემზე ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა.

ერთი ნაკლი ჰქონია „ტიტანიკსა“ —ნავები არა ჰქონდა თურმე საკმაოდ. „ტიტანიკის“ დაღუპვის დროს 4 მილიარდერი დაღუპულა.

— **მ. გორკი.** პარიზში რუსის ინტელიგენციის წარმომადგენლებს გაუმართავთ ა. ერცენის მოსახსენიებლად სალამო. სალამოზე რუსის მწერალს გ. გორკის ახალი ნაწარმოები წაუკითხავს, რომელიც თურმე ეხება ავტორის კავკასიაში ყოფნას.

— **ჩინეთის მონარქისტები.** ქალაქ ჩიფუ'ში ჩინეთის მთავრობას აღმოუჩენია 300 ყუთი, სულ იარაღით სავსე. იარაღი თურმე გამოგზავნილი ყოფილა მონარქისტთა მებრძოლ ორგანიზაციისათვის.

ლენის მაღაროს მუშათა გაფიცვა.

დეპეშები.

პეტერბურგი. ლენის ოქროს მადნებში, სადაც თებერვლის დამლევს გაფიცვა გამოეცხადებინათ მუშებსა, ეხლა საქმე გამწვავებულა. მუშებს, გააფიცვისას, წარუდგენიათ მოთხოვნილებანი, სჩიოდნენ ამხანაგობის მიერ ვითომ ჩადენილ უკანონობას, მოითხოვდნენ რვა საათის სამუშაო დღეს და 35 მოსამსახურის დათხოვნას, გარდა ამისა მოუთხოვნიათ, მუშების დეპუტატების დაუკითხავად ნება არ უნდა ჰქონდეთ რომელიმე მუშის დათხოვნისაო. თუ არ აგვისრულებთ მოთხოვნილებას, გაგვისტუმრეთ და ჯამაგირი მოგვეცით სექტემბრამდე, გაფიცვის დღეებიც ჩაგვითვალეთო. ლენის ამხანაგობის უსამართლოდ უცვნია ბევრი მოთხოვნილება. ამხანაგობამ ზოგიერთს მუშას ხელშეკრულების დარღვევის გამო სასამართლოში უჩივლა და სასამართლომ საქმე ამხანაგობის სასარგებლოდ გადასწყვიტა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მუშებს უნდა მიეტოვებინათ ამხანაგობის სადგომი, რაიც მათ არ აუსრულებიათ. ამის გამო კირენსკიდან ჯარი გაჰგზავნეს მადნებში—სულ 340 კაცი. გაფიცვის გაგრძელებას აპირებდნენ. მოძრაობას უხელმძღვანელებდა გაფიცვის კომიტეტი, რომელშიაც ბევრი გადასახლებული ყოფილა. გამომძიებლის დადგენილებით 3 და 4 აპრილს ხემოხსენებულ კომიტეტის წევრები მთავრობამ დააპატიმრა. ამ ამბავმა ძალიან აიღელვა მუშები და ათას კაცამდე ოლქის ინსპექტორის სახლს მიადგა და დაპატიმრებულთა განთავისუფლება მოითხოვა. თუ არ გაანთავისუფლებთ, ყველანი შევიკრიბებით და ძალას ვიხმართო. მოთხოვნილების ასასრულებლად სამი საათის ვადა დაუნიშნავთ. ხალხი ვერაფერმა დაამშვიდა, თან და თან ემატებოდნენ მუშები და 3 ათასამდე ავიდა მათი რიცხვი და გაემართა. ჯარის ბანაკისაკენ. მუშები შეიარაღებულნი იყვნენ კეტებით აგურებით ქვებით, და გაფრთხილების მიუხედავად, ჯარისაკენ იწევდა. ჯარმა მწყობრად ესროლა თოფი. ოლქის ინსპექტორის ცნობებით, მოუკლავთ 107 მუშა და დაუჭრიათ. 83.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

სესხის საკითხი.

ლონდონი. რუსეთმა და იაპონიამ ინგლისს შეუთვალეს ჩვენც მივიღებთ ჩინეთის სესხში მონაწილეობასაო.

რუსეთმა და იაპონიამ პირობად დაუდეს სხვა სახელმწიფოებს, მონგოლეთსა, მანჯურიასა და დასავლეთ ჩინეთში ჩვენი განსაკუთრებული ინტერესები უნდა დაიცვათო.

მონგოლეთი და რუსეთი.

ურგა. დაარსეს რუსეთ-მონგოლეთის საკომისიო საწყობის ამხანაგობა. ამხანაგობის წევრებად არიან მონგოლეთის 5 მინისტრი და რუსეთ-ჩინეთის ბანკის რწმუნებულად ნამყოფი მოსკვიტინი. ამხანაგობას მიზნად დაუსახავს რუსეთისა და მონგოლეთის დაახლოვება და საკომისიოდ მიიღებს რუსის ვაჭრების საქონელსა.

იუანშიკაი და მონგოლეთი

ურგა. მონგოლეთის მთავრობას იუანშიკაის დეპეშა მიჰსვლია. ამბობენ, იუანშიკაი ხუტუხტას არწმუნებს, სხვა არავინ ჩაურიოთ მონგოლეთ-ჩინეთის დავაში, სჯობია ხელი აიღო დამოუკიდებლობაზეო და დასძენს პეკინიდან უკვე გამოვგზავნე კაცი მოსალაპარაკებლადო. მონგოლეთის მთავრობას კი უშუამავლოდ არა ჰსურს ჩინეთთან მოლაპარაკება.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თავრიზი. სერდარ-ნუსრატი და ყარაჯაგის გუბერნატორის წარმომადგენელი შაჰსევენებთან მოსალაპარაკებლად წავიდნენ. უნდათ შუჯა-უდ დოულეს დაუმორჩილონ და აჯანყება მოსპონ.

თეირანი. ინგლისის ახალი ელჩი ჩამოვიდა. სალარ-უდ-დოულეს მოკავშირე ქურთები გერუსში ძარცვა-გლეჯას ეწევიან. ბახტიართა რაზმს ბრძანება მიუღია, ზენჯანის მეამბოხენი რო დაამარცხო, შემდეგ გერუსს წადიო. ბატონიშვილი-რეგენტი ამბობს: ტყუილია, ვითომ ევროპაში განსაკუთრებულის განზრახვით მივდიოდე, მოსვენება და ჯანმრთელობის გამობრუნება მსურსო.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. იტალიის დიპლომატთან „კორიერე დ'იტალიას“ თანამშრომელს ულაპარაკნია. დიპლომატს უთქვამს: ოსმალეთის მიერ წამოყენებულ შეურიგებელ პირობების შემდეგ, სახელმწიფონი ან ხელს აიღებენ შუამავლობაზე და იტალიას თავისუფალ მოქმედების ნებას მისცემენ, ან უფრო ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს საქმესა და თავის პირობებს წარუდგენენ ოსმალეთსაო. თუ დიპლომატიის ბრძოლის ველზე მომხდარმა ამბებმა ზურგი გაუმაგრა, შეიძლება მოლაპარაკებამ უბრალოდ არ ჩაიაროსო. თუ ეგეის ზღვაზე რამდენიმე კუნძული დაიჭირეს, უეჭველად ეს ამბავი მოლაპარაკებაზე იმოქმედებსო.

„ტრიბუნა“ ამბობს, ბომბის აღება მართლა გადასწყვიტესო.

დარდანელის იერიში.

ლონდონი. ზაგორიდან „ტაიმსს“ ატყობინებენ, პელიონის მთიდან იტალიის სამხედრო გემები შევამჩნიეთ, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მისცურავდნენო.

დარდანელის შესავალში ზარბაზნის ხმა ისმის. ამბობენ, იტალიელებმა იერიში დაიწყესო.

ალექსანდრია. რადგან ეგვიპტის წყლებში იტალიის კრეისერები დასცურავს, ალექსანდრიაში ინგლისის კრეისერი მოვიდა; მან ეგვიპტის წყლების ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას.

სტამბოლი. პარლამენტის სესია გაიხსნა. გახსნისას დეპეშა მიიღეს: იტალიის ფლოტმა კუმკალეს ზარბაზანი დაუშინაო. დარდანელთან სიმაგრიდან ზარბაზანი დაუშინეს იტალიის გემსა და დასძირესო.

ათინა. იტალიის რამდენმამე გემმა გუშინ ჩრდილოეთისაკენ გასცურა. დილას როდოსისაკენ გასცურა იტალიის ოთხმა ჯავშნოსანმა. ორმა ჯავშნოსანმა ქალაქის წინ საბერძნეთის გემი გააჩერეს, კარგად გაჩხრიკეს და შემდეგ ისევ გაუშვეს.

სტამბოლი. იტალიის 27 სამხედრო გემმა დარდანელის შესავლის სიმაგრეებს ზარბაზანი დაუშინა.

დარდანელს წასული გემები უკან დააბრუნეს, მიმავალი გემები კი დაიჭირეს.

ტრიპოლი. თადიურიდან წასული იტალიის ჯარის როტა ყაჩაღთა ბრბოს წააწყდა. ბრბოში 100 კაცი ყოფილა და იტალიელებს გაუფანტნიათ. თადიურში დაბანაკებულ ჯარის უფროსმა რაზმი გაჰგზავნა ყაჩაღთა შესაპყრობად. რაზმს წინ 300 არაბი შეეხეჩა. მოხდა ბრძოლა. არაბებს მოუკლეს 50 და დაუჭრეს 100 კაცი. თადიურის რაზმელებში ორი მოჰკლეს, ექვსი დასჭრეს.

სტამბოლი. კუმ-კალესთან გამოჩენილ იტალიის ფლოტში ოთხი ჯავშნოსანი, 20 ნაღმოსანი და 3 სატრანსპორტო გემი ყოფილა.

ოსმალებს ერთი ზარბაზანი დაუზიანებიათ. იტალიელებმა ზარბაზანი დაუშინეს თოფრაკ-კალეს-კუმ-კალს და ორხანტეს, სულ 180 ესროლეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

6 აპრილი.

ჰუნგრეთის პალატა.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატაში ხორვატელთა დელეგაციის პრეზიდენტმა პეიაჩევიჩმა წაიკითხა დადგენილება და იმედი გამოსთქვა, რომ ხორვატიაში აღადგენენ საკონსტიტუციო გარანტიებს. კოალიციის წევრმა პოპოვიჩმა ხორვატელთა დელეგაციის უმცირესობის აზრი წარმოსთქვა, კუენქედერვარს ნება არა ჰქონდა კომისარის დანიშვნა ერჩია ვისთვისმეო და იმედი გამოსთქვა, საქმე მორიგებით გათავდებაო. თავმჯდომარემ ნავაიმ განაცხადა: შეუძლებელია „ხორვატელთა დელეგაციის“ სახელის ხმარება, რადგან ჰუნგრეთის პალატაში მარტოოდენ პალატის დეპუტატნი არიანო.

ავტრიის პალატა.

ვენა. კანიკულებს შემდეგ პალატას პირველად ჰქონდა სხდომა. თავმჯდომარემ „ტიტანიკის“ დაღუპვის გამო მწუხარება გამოაცხადა. ამ დროს ხორვატიის დეპუტატებმა დაიძახეს: „ხორვატიის დაღუპვა კი დაგავიწყდათ! ისიც მოიგონეთ, ისიც ნუ გავიწყდებათ!“ სამხრეთის სლავიანებმა, ჩეხიისა და გერმანიის

მავალი ბატონობისაგან. მემამულეთა აზრი მშვენივრად არის დაცული დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილ პროექტში. ჩვენი მემამულენი ძლიერ უკმაყოფილონი იყვენ გლეხების განთავისუფლებით და გულში ეს უკმაყოფილება ძლიერ ღრმად ჰქონდათ ჩანერგილი და ყოველნაირად სცდილობდნენ პროექტის შემუშავების დროს თავისი ინტერესების დაცვას და გლეხის ბედ-იღბალზე სრულებითაც არა ფიქრობდენ.

დიმიტრი ყიფიანი თავის პროექტში განიხილავს ვახტანგის კანონმდებლობას გლეხების შესახებ და იქ აზრს გამოსთქვამს, რომ მემამულენი განუსაზღვრელი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი გლეხების მიმართ. თუმცა უდიდეს უფლებას აძლევდა კანონი მემამულეს გლეხის პიროვნებაზე, მის ავლა-დიდებაზე მაგრამ ჩვეულებამ შეამსუბუქა კანონის სასტიკი ელფერი, და ამის მიხედვით უფლება მოკლებული, კანონის ძალით გლეხი, ჩვეულების ძალით ხშირად ძლიერ თავისუფლად ჰგრძნობდა თავს, საშუალება და ნება ეძლეოდა უძრავი და მოძრავი ქონების შეძენისა; და აგრეთვე ნებას აძლევდნენ ხშირად მემამულენი ხელოსნობასა და ვაჭრობას.

გლეხის ცხოვრების უმთავრესი სახსარი, განმარტავს დიმ. ყ-ნი, მიწა იყო; გლეხი მას ამუშავებდა, ხოლო მიწა, რომელზედაც გლეხი ბინადრობდა შეადგენდა ბატონის, სრულ კუთვნილებას. ამნაირად მიწა, მიწის სიმდიდრე შეადგენდა მხოლოდ ბატონის კუთვნილებას; გლეხს, ყმას, მიწა ბატონისაგან ეძლეოდა მხოლოდ დასამუშავებლად. ბატონსა და ყმას შორის კავშირს ეს მიწა ჰქმნიდა და ამ ორ მოპირდაპირეს შორის გამართა თავისუფალი, და სწორი კავშირი, რომელიც შეკრული და გამაგრებული იყო წარსულ საუკუნოების განმავლობაში. ბატონს და მონას შორის განხეთქილება არ არსებობდა. ესენი იყვნენ ნაწილი ერთი მთელი სხეულის შესისხლებული და მჭიდროთ დაკავშირებული „ჭირი და ლხინი, მოგება და ზარილი ერთი და იგივე იყო ბატონსა და ყმას შორის პირველ ხანებში, ხოლო შემდეგ დაიწყო რყევა და გაიხრწნა მშვენიერი განწყობილება“,-დასძენს დიმ. ყიფიანი.

გლეხი ბატონისაგან დამოკიდებული იმიტომ არის, რომ მას საკუთარი მიწა. სახსარი ცხოვრებისა, არა აქვს, და ვინაიდგან გლეხს ბატონის მიწა აქვს, აქედან იბადება დამოკიდებულებაც. მაგრამ გლეხისა და ბატონის შორის არსებული დამოკიდებულება ორ გვარი ხასიათისაა და ორნაირი სახე აქვს: პირველ გვარი დამოკიდებულება გლეხისა არის იმის შედეგი, რომ ის ბატონის მიწაზე ცხოვრობს, და ვალდებულია მიწის სარგებლობისათვის წლიური გადასახადი აძლიოს თავის ბატონს თანახმად ჩვეულებისა: მეორე ნაირი დამოკიდებულება შედეგი არის პირველისა: გლეხი თავისი არსებით ეკუთვნის ბატონს, მის კუთვნილებას შეადგენს, მისი, **მონაა** და მონობა კი მას ავალებს ემსახუროს ბატონს; გლეხის პირად დამოკიდებულებას და მის სამსახურს მემამულესათვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს შეადგენს ძლიერ თვალსაჩინო ნაწილს მემამულეს ეკონომიურ კეთილდღეობისას. გლეხის სხვა და სხვა გვარი სამსახური ფულად რომ გამოიხატოს, დ. ყიფიანის ანგარიშით, შეადგენს შემდეგს: ერთი ღარიბი კომლი გლეხი აძლევს თავის ბატონს წლიურად 96 მანეთს, მდიდარი კი 239 მან. 80 კ. საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, იქნება 148 მან. $38^{1}/_{3}$ კაპ. ბატონ-ყმობის გაუქმებას კი ის შედეგი ექნება, რომ მემამულენი ჰკარგავენ უფასო მუშებს. ვინაიდან სოფლის მეურნეობა ერთად-ერთი სახსარია თავად-აზნაურობის კეთილდღეობისა, სჩანს, ყმების განთავისუფლებით მემამულეებს დაეკარგებათ არსებითი ძარღვი ცხოვრებისა. ამას უნდა მიემატოს, რომ მემამულენი გაუნათლებელნი არიან, არავითარი ცოდნა და ხელობა მათ არ იციან, თვითონ მიწის მუშაობის დიდი უნარი არა აქვთ, და, რასაკვირველია, შედეგი რეფორმისა ის იქნება, რომ თავად-აზნაურობა გაღატაკდება და შიმშილს ვერ გადურჩება.

მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობისათვის გლეხების განთავისუფლება სიღარიბე და დაქვეითებაა, მაინც მზად არიან გაანთავისუფლონ ისინი და მზად არიან თავის კეთილდღეობის ნაწილიც მსხვერპლად შესწირონ მას.

რა მოსაზრებით სწირავენ ასეთს მსხვერპლს მემამულენი?

მოსაზრება მათი ზნეობრივი ხასიათისაა. „განუწყვეტელი, მჭიდრო ზნეობრივი ხანგრძლივი კავშირი არსებობდა მემამულეთა და მათ ყმებთა შორის“, „ძლიერ ხშირად ყმას თავის თავი სიხარულით შეუწირავს ბატონის კეთილდღეობისათვის; ხშირად ბატონიც ასე მოქცეულა, ხშირად ბატონს უმსხვერპლია თავისი თავი და უხსნია გლეხი. გლეხი მუდმივ გულწრფელად ემსახურებოდა თავის ბატონს; გლეხი ასაზრდოებდა თავის ბატონს, იმათი ამაყობდა ბატონი. ჩვენ,—განაგრძობს დიმ. ყიფიანი,—ძლიერ კარგად გვახსოვს მათი შრომა და ღვაწლი და, აი ეხლა, როდესაც ჩვენ ერთმანეთს უნდა გვშორდეთ, ჩვენ გვსურს უჩვენოთ მათ, რომ ჩვენ ჭეშმარიტად არაფერი არ დაგვვიწყებია და ეხლა გვინდა განვაქარწყლოთ ის უთანხმობა, რომელიც ამ ბოლოს დროს ჩვენს შორის ჩამოვარდა. ჩვენი მისწრაფება, ჩვენი სურვილი იმდენად ცხარე, იმდენად განუზომელი არის, იმდენად გვინდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ თანახმა ვართ მათ მსხვერპლი შევსწიროთ, რომელიც საკმარისი იქნება, უკაცრავად აი ეს სიტყვა მსხვერპლი უცაბედად წამომცდა“.

აი ეხლა ვნახოთ რა მსხვერპლზედ ლაპარაკობდა ტფილისის თავად-აზნაურობა. დიმ. ყიფიანი თავის პროექტში იმ აზრისა იყო, რომ გლეხები უეჭველად უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ამის წინააღმდეგ არავინ იყო და შეუძლებელიც იყო წინააღმდეგობა. მხოლოდ თავისუფალი გლეხი უმიწა-წყლოდ რანაირად ისარგებლებდა თავისუფლებით. პროექტის ძალით, გლეხს თავად-აზნაურობა უთმობდა მოძრავ ქონებას, მიწას, რაც შეეხება უძრავ ქონებას, ის გლეხს ბატონისათვის უნდა დაეტოვებინა, ვინაიდან მიწა ბატონის ხელ-უხლებელი კუთვნილებად იქნა აღიარებული და ერთი ალაბის დათმობასაც არ კისრულობდნენ მემამულენი. მაშასადამე ტფილისის თავად-აზნაურობა გლეხს მხოლოდ ცარიელ თავისუფლებას აძლევდა. ასეთი თავისუფლების წინააღმდეგ იყო ალექსანდრე II და რუსეთში გლეხების განთავისუფლებას თან მოჰყვა სავალდებულო მიწის მიცემა ტფილისის თავად-აზნაურობა კი მზათ იყო თავისი მიწები ისევ განთავისუფლებულ გლეხებისათვის გარდაეცა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გლეხსა და მემამულეს შორის უნდა ხელშეკრულება მომხდარიყო, წინ და წინ შემუშავებული. ეს წინადადება რომ მიღებული ყოფილიყო მაშინ ჩვენი გლეხობა, მართალია, ყმობის უღელს მოშორებული იქნებოდა, მხოლოდ გარდიქცეოდა მიწის მოიჯარადრეთ და შეიქნებოდა იმავე მემამულის მონა, უფრო შევიწროებული და უფლებებს მოკლებული. ასეთი იყო პირველი მსხვერპლი ტფილისის თავად-აზნაურობისა.

მეორე მსხვერპლი შემდეგი იყო. გლეხი პირადად ემსახურებოდა თავის ბატონს, აძლევდა უფასოდ მოსამსახურეს, ეხმარებოდა მუშაობაში, მოუტანდა ძღვენს და სხვა, ერთი სიტყვით პირადი მოსამსახურეც იყო. ვინაიდან გლეხობას თავად-აზნაურობა აძლევდა თავისუფლებას, ცხადია, გლეხი უნდა განთავისუფლებულიყო პირადი სამსახურისაგანაც. მაგრამ ამ გვარი განთავისუფლებას ის მოსდევდა, რომ მემამულენი ბევრსა ჰკარგავდნენ და უფასოდ პირადი სამსახურის მოსპობის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ ჩვენი მემამულენი. გლეხებს თავისი პირადი თავისუფლება უნდა გამოესყიდა, მაგრამ ამისათვის სახსარი არა ჰქონდა და აი თავად-აზნაურობა გამოსთქვამს აზრს, რომ გამოსასყიდი ფული გადაჰხდეს არა უღონო გლეხებს, არამედ მთავრობამ ივალოს და სახელმწიფო სალაროდან გაისტუმროს მემამულენიო.

ვეცადე მოკლედ განმემარტა ძლიერ შინარსიანი და საყურადღებო დიმ. ყიფიანის პროექტი შესახებ გლეხების განთავისუფლებისა. აქ არ შეუდგები პროექტის ვრცლად დახასიათებას, ამას ბევრი დრო და ალაგი მოუნდება, საკმარისია ნათქვამიც. პროექტი მიღებული იყო თავად-აზნაურობისაგან, მხოლოდ შემდეგ მთავრობამ ძლიერ გადააკეთა და სულ სხვა სახე მისცა მას.

სიმ. ავალიანი.

სოციალისტებმა ხორვატიის საკონსტიტუციო გარანტიების გაუქმების გამო შეკითხვა შეიტანეს ცალ-ცალკე. სლოვინცთა ბელადმა შუსტერში შეკითხვაში აღნიშნა: ხორვატიის შევიწროება ბალკანეთსა და ადრიატიკის პოლიტიკაზე ცუდად იმოქმედებს და ავსტრია-ჰუნგრეთსაც ავნებსო. სამხრეთის სლავიანობაც ჰგრძნობს ხორვატელთა შევიწროებას და ვერ დამშვიდებულა.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. ქალაქში არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 10 მთავრობის დეპუტატი. სულ აირჩიეს 160, მათში ოპოზიციისა ექვსი კაცია, დამოუკიდებელი—1.

პალატის თავმჯდომარე.

პარიზი. დელკასეს კანდიდატურა წამოაყენეს თავმჯდომარის ადგილზე. ბრიანს კანდიდატობაზე უარი განუცხადებია.

რუსეთი

„ზვეზდას" დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს „ზვეზდას" ოცდა-მეექვსე ნომერი და რედაქტორი სამართალში მისცეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. კვირას, 8 აპრილს, **ვლ. ალექსი-მესხიშვილი** ქართულ თეატრში გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: „ავადმყოფი ხალხი". დრ. 2 მოქ. და „კრეჩენსკის ქორწინება", კომ. 2 მოქ.

კონცერტი. 10 აპრილს საარტისტო საზოგადოების დარბაზში სკრიპკის ცნობილი დამკვრელი იაროსლავ კოციანი პიანისტის მ. ეისნერის მონაწილეობით კონცერტს გამართავს.

ფოთი. 29 ამა მარტს ქალაქ ფოთის სომეხთა სკოლის დარბაზში ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა ორიგინალური პიესა **ს. ჭანტურიშვილისა „მორევში"**.

წარმოდგენის წინ **ბ. შალვა დადიანმა** წაიკითხა რეფერატი ამ პიესაზე. რეფერენტმა აღნიშნა ის მოვლენა, რომ თანამედროვე ოჯახს საფუძვლად უდევს არა თავისუფალი სიყვარული, არამედ რაღაც წვრილმანი ანგარიშები, ორ არსებათა თავისუფლად და სიყვარულით შეერთების იდეასთან სრულებით შეუწონელნი და შეუხამებელნი. შეეხო აგრეთვე მოკლედ იმ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს, რომელნიც ხელს უშლიან დღევანდელ ოჯახის რუტინის დარღვევას, ზღუდავენ მის თავისუფლებას და რაღაც სხვა და სხვა პოლიტიკური მოსაზრებით ეწინააღმდეგებიან მის საღ ნიადაგზე დამყარებას. „სახელმწიფო იცავს ცოლ-ქმართა ურთიერთ შორის უფლებრივ კავშირსო"—სთქვა მან—„იმისთვის, რომ მისი დღევანდელი ფორმის არსებობისთვის ეს საჭიროაო. საჭიროაო, რომ სიყვარული იქმნას ცნობილი ცოლ-ქმართა შორის ერთად-ერთ შემაერთებელ ძალად და მაშინ არც კოტეები მოიკლავენ უდროვოდ თავს და არც ტრიფონები და მაროები უდანაშაულოდ დაისჯებიანო". დღევანდელი პიესა ბატონ ჭანტურიშვილისა ამ „მწვავე" საკითხს დასტრიალებს თავს: ავტორს ჰსურს დაგვანახოს ის მთავარი მიზეზები, რომელნიც ძირს უთხრიან დღევანდელ ოჯახის არსებობას, მას სურს დაგვანახოს ის გზა, მწარე და ტრაგიკული, რომელიც მიაქანებს დრამის „მორევში" ასეთ პატიოსან ადამიანებს, როგორიც არიან კოტე, ტრიფონი და მარო.

მოკლედ მოვიყვან პიესის შინაარსს. კოტე გრეხილაძე სოფლის შეძლებული კაცია. მიდის ომში და შინ რჩება ლამაზი ცოლი მარო, რომელიც გაგიჟებით უყვარს. (უყვარდა თუ არა თვით მაროს თავისი ქმარი—ამაზე პიესა სდუმს). ფიზიკურად ლამაზი და სულიერად მშვენიერი მარო შეიყვარებს სოფლის მასწავლებელს ტრიფონს, რომელიც მათ ოჯახში სდგას და კოტეს საყვარელი მეგობარია. ტრიფონი მაშვრალი და ტანჯული ხალხის მოამაგეა, მაღალ აზრების დ გრძნობების მოტრფიალე. მათი სიყვარული შესძენს კოტე გრეხილაძეს ერთს ვაჟს, „ბუჩქნარში გაკეთებულ ბუშს". საშინელი დღე ადგება მაროს: ლანძღვა, გინება, გარყვნილის სახელით მონათვლა. დედამთილი მაზე ლანძღვა-გინებით იჯერებს ყოველ-დღე გულს. მეზობლებში არა აქვს ადგილი პატიოსან და მორჩილ-ცოლთა გვერდით, ხალხი მაზე თითით აჩვენებს, როგორც გარყვნილზე. საზოგადოებრივი აზრი საშინელ ლახვარსა სცემს მას ტრადიციების დარღვევის გამო. ქმარი? ქმარი კი თავის მოტყუებული სიყვარულის დ შელახული პატიოსნების სახელით მოითხოვს შურისძიებას. ის თხოულობს ბოქაულობას, მაშინ უკეთ შევძლებ ჩემის ყელის გამომჭრელის აღმოჩენას და შურის ძიებასო. იგი მიდის გუბერნატორთან.

ამდროს ტრიფონ და მარო შეხვდებიან ერთიმანეთს. მარო უამბობს თავის უბედურ მდგომარეობას. „ასე ყოფნა შეუძლებელიაო" იტყვიან ორივე და გადასწყვეტენ გაუმხილონ ყველაფერი კოტეს, ამასობაში ბრუნდება კოტეც, რომელმაც გზაზე გაიგო, რომ მისთვის ბოქაულობა უკვე მიუციათ. არაყით გაჟღენთილი იგი შესჩივლებს საიმედო მეგობარს ტრიფონს თავის ოჯახურ უბედურობას. ტრიფონი ვერ შეიკავებს თავს და ყველაფერს გაუმხელს. გახელებული კოტე დაუპირებს მას მოკვლას, მაგრამ ტრიფონი რევოლვერით დაიცავს თავს და მერე გაიქცევა. ეხლა მას სრულიად არა სჭირია ბოქაულის „მუნდირი" და სტრაჟნიკები. ეხლა იგი სხვა საშუალებას მიმართავს: ხალხს ამხედრებს ტრიფონის წინააღმდეგ. ხალხიც სდევნის ტრიფონს. ეხლა ტრიფონში ილვიძებს შურის ძიების გრძნობა ხალხისადმი გაცრუებულ სიყვარულის და შელახულ თავმოყვარეობის ნიადაგზე. და აკი, იძიებს კიდევაც შურს. როდესაც მარო დაუსვამს მას საკითხს „ხალხისადმი სამსახური თუ ჩემი სიყვარულიო" აქ ტრიფონისთვის „საკითხიც არ არსებობს".

წინედ საზოგადოებრივი იდეალებით გამსჭვალული, მაღალ აზრების მოციქული, ეხლა წარბშეუხრელად აღიარებს: „უშენოდ სიცოცხლე შეუძლებელიაო". მოშორდა საყვარელი ტრიფონი, ქმარი კი მოითხოვს მისგან შვილის მოშორებას და მზად არის დაივიწყოს ყველაფერი, რადგან მას გაგიჟებით უყვარს იგი. მაროს ეს არ შეუძლიან, იგი იძულებულია გაიქცეს თავის მამის ოჯახში. აქ მას ფარულად ნახულობს ტრიფონი. გადის დრო... ერთ დღეს მოდის კოტე და უცხადებს მაროს: დედა გარდამეცვალა, შორს მივდივარო და სთხოვს აასრულოს მისი უკანასკნელი თხოვნა: მოიშოროს თავიდან ტრიფონი. მაროს ეთხოვება და გადის. და სტოვებს წერილს, რომლიდანაც მარო გაიგებს რომ მთელი ქონება დაუმტკიცებია მისთვის. მხოლოდ სთხოვს ტრიფონს განშორდეს. კოტეს სულგრძელობა თავზარს დასცემს მაროს. ის გადასწყვეტს მოშორდეს ტრიფონს. შემოდის ტრიფონი. იგი მაშინვე რწმუნდება, რომ კოტე ყოვლად პატიოსანი კაცია და ვალდებულნი არიან მას დაუთმონ. გაიგონებს თუ არა ამას კოტე, რომელიც მათ გარედან უსმენდა, შემოდის და უცხადებს, თქვენი დაშორება შეუძლებელია, რადგან „თვით განგებისგან ყოფილხართ ერთად შეყრილნიო". და მათ თვალწინ თავს იკლავს. ამით თავდება დრამა.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს პატივცემულ „სახალხო გაზეთში".

რამდენიმე წლის წინეთ ბ. ვ. გადილიამ ხელის მოწერა გამართა სამ წიგნზე 1. კ. კაუცკის მარქსის ეკონომიური მოძღვრება.

2. ი. გომართელი. ადამიანის ნება დაზნეობა და

3. ან. ერისთავ-ხოშტარიასი ბედის ტრიალი.

მას შემდეგ განვლო კარგა ხანმა, მაგრამ ხელის მომწერლები ვერ ეღირსნენ აღთქმულ წიგნების მიღებას. ამ რამდენიმე ხნის წინად მეტეხის ციხიდან კვლავ მიჰმართა ბ. ვ. გადილიამ საზოგადოებას ახალის მოწოდებით სხვა წიგნების გამოსაცემად. ამის გამო უნდა შევეკითხო ბ. გადილიას, თუ ციხეში ყოფნა უშლის ხელს წიგნების გამოცემას მაშ, ახალს ხელის მოწერას როგორ აპირებს და თუ არ უშლის ძველ ხელის მომწერლებს რად არ აკმაყოფილებს?

ერთი ხელის-მომწერთაგანი.

ჩვენი ფოსტა.

ბორჯომი. გ. ესმაშვილს. თქვენი წერილის საპასუხოდ უნდა გაუწყოთ, რომ მაგისთანა მოწოდების დასასტამბად საჭიროა რედაქციაში წარმოადგინოთ გუბერნატორის ნებართვა, რომ თქვენ უფლება გაქვთ გაზეთის საშუალებით მიჰმართოთ საზოგადოებას შემწეობისათვის.

უამნებართვოდ რედაქციას უფლება არა აქვს მაგვარი მოწოდება ჰბეჭდოს. ხოლო როდესაც ასეთი ნებართვა წარმოგზავნილი იქნება, რედაქცია მუდამ ხალისიანად უთმობს ადგილს მაგვარ წერილს, რასაკვირველია უფასოდ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ჟურდელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, II—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 14 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიითაა (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადღეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუადღეს.

განცხადებანი

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606"—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—[illegible] ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.51)

ქ. გორში (ბედაბეთის მიდამოში) იყიდება ან იძლევა იჯარით მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე—მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა. თ-ძე მიროტინს, გორში**—ფოტოგრაფ **არუმიძეს.** (10.3 9.2)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შეკვეთებს, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—23)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი"
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფშიაა. ცალი 1 მ. და 8 კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ. разъѣзжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ. 1161.4)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა"
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.
დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა, **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.**
(თ.—1145—22)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნიკო ოცხილაძე**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7-[illegible] [illegible] ქუჩის შესახ. № 5.

ყოველ-დღე მოგვდის:
ახალ-ახალი ქვირითი 4 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—32)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

მევენახეთა და მებაღეთა საყურადღებოდ. ახალი სითხე უაკმენისა
ქუთაისი **ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის სავაჭროში** მიღებულია და იყიდება ვენახისა და ხეხილების სხვა და სხვა სენის საექიმოდ, (შაბიამნისა და გოგირდის გარდა) ახლათ შემოღებული სითხე **უაკმენისა**, რომელიც ნაცადი არის როგორც სხვა და სხვა ქვეყნებში ისე ქუთაისის გუბერნიაშიც და ძლიერ სასურველი შედეგიც მოიტანა. **უაკმენის** სითხით აქიმობა შეიძლება იმავე მანქანით, რომლითაც აქიმობენ შაბიამანს. ვინც **უაკმენის** სითხით უაქიმებს მაშინ გოგირდით აქიმობა არ არის საჭირო. დარიგება და **პრეისკურანტი** მსურველებს გაეგზავნებათ უფასოდ. **უაკმენის** სითხე იყიდება ქუთაისის გარდა შემდეგ ადგილებში: **ყვირილაში** ძმათა ბებიაშვილებთან და სიხარულიძე-მამალაძესთან. **ძირულაში** პეტრე ნიორაძესთან. **ხვირში** სამუელ ლვალაძესთან. **სამტრედიაში** ივანე და ნიკ. ჯანელიძეებთან და ქართველიშვილ-ნაცვალაძესთან. **ახალ-სენაკში** ნიკო შონიასთან. **ფოთში** ხოფერია-კიწურეიშვილთან. **ხონში** ერისტო ჰავჯანიძესთან. **ჩხარში** არტემ სიმონგულოვთან და **ბაღდათში** ანტონ ბუცხრიკიძესთან. უმთავრესი საწყობი ქუთაისის გუბერნიისათვის ქუთაისში ნიკ. მ. ჯანელიძის სავაჭროსთან. ადრესი ფოსტის და დეპეშის: ქუთაისი ჯანელიძე.
8—1193—1)

ქ. შ. წერა-კით. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

გოგებაშვილი ი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები 1 მან.
„ რანი ვიყავით გუშინ 20 კ.
„ Методика къ „Русскому слову для учащихъ . 40 „
„ Нормальное письмо . 20 „
„ Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . . . . . 50 „
„ Правда о Тифлисѣ . 20 „
„ Къ вопросу о поднятіи образованія среди груз. дворянства . . . . 20 „
„ Какъ улучшить Кавказскую народную школу? 30 „
„ Государственны языкъ въ Грузинской начальн. школѣ . . . . . [illegible] „
„ Къ вопросу о Мингрельской начальн. школѣ . 20 „
ახლად მიღებული წიგნები:
Къ матеріаламъ по драматической литературѣ XVIII вѣка. ხახანაშვილი . . . 20 „
თაყაიშვილი ე. Разборъ Армазской надп. и деревянный антиминсъ Метехской церкви . . , . 10 „
„ Канчаетскій „Жамъ-гулани". Груз. надписи Ахталы. Ультиматумъ шаха Ага-Маго Метъ-Хана Ираклю II-му . . . . 15 „
„ Хроника Эристовскаго Акафиста . . . . 10 „
„ Еще одинъ изъ источниковъ исторій Грузій 30 „
„ Сигель груз. царя Баграта IV . . . . . 30 „
„ Матеріалы для ист. грузіи 30 „
„ სიზმარი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა. ადამის წერილი და ძელი ჭეშმარიტის გაჩენა . 15 „

ეს უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ О-во распространенія грамотности. (წ.—1141—20)



სნეულნო!
უფრთხილდით სიყალბეს!
რადგანაც „სპერმინის" იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.
ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების და დუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და **სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ - პელა**" აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.
ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:
სპერმინ-პელა
და არ მისდიოთ მალამოესად სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.
Органотерапевтическій Институтъ
Профессоръ Д-ръ Пель и С-вья
Поставщики Двора
Его Императорск. Величества
С. Петербургъ
В.О. 7 линія 18.
Метцль. № 1277. (12.1002.2)

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია (ქუთაისში) შეუდგა **კიტა აბაშიძის** თხზულების **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ" მეორე ტომის** ბეჭდვას. ამ ტომში მოთავსებული იქნება აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის და სხვა თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. წიგნი სივრცით 300 გვერდამდე იქნება. წინასწარი ხელმოწერით ღირს **ორ აბაზად.** წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.
მეორე ტომზე ხელის მომწერს პირველი ტომი ათ შაურად დაეთმობა.
ხელის მოწერა მიიღება:
ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და „იმერეთის" კანტორაში.
ტფილისში: წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და ი. მერკვილაძესთან.
ბაქოში: ვას. ახვლედიანთან და ვას. ქიქოძესთან.
ბათუმში: ირ. ავალიშვილთან.
გორში: არჩვაძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ივ. ყანჩელთან.
სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან.
კავკავში: ვ. ბურჯანაძესთან.
ხონში: წ. კ. განყ. წიგ. მაღაზიაში და ექ. ბახტაძის მეუღლესთან.
ოზურგეთში: „შრომის" წიგნის მაღაზიაში.
სამტრედიაში: წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
ზესტაფონში: წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
ჭიხაში: ექ. ლოსაბერიძესთან.
ჭიათურაში: ივ. გომელაურთან და ირ. დეკანოზიშვილთან.
ძვ. სენაკში: დ. ღურეშიძესთან.
ახ. სენაკში: დგებუაძის წიგნის მაღაზიაში. (5—1184—5)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".